## პროგრამის ფორმა

| პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: | პროგრამის დასახელება | პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა |
|---|---|---|
| 05 06 | ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა | კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი |

| პროგრამის განმახორციელებელი: | ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია | პროგრამის ბიუჯეტი | 2023 წლის დაფინანსება (ლარი) | 2024 წლის დაფინანსება (ლარი) | 2025 წლის დაფინანსება (ლარი) | 2026 წლის დაფინანსება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 328 000 | 425 000 | 460 000 | 495 000 |

| პროგრამის მიზანი | ქალაქ ბათუმში მცხოვრები ახალგაზრდების განვითარებისა და მონაწილეობის ხელშეწყობა |
|---|---|
| | ახალგაზრდების განვითარებისა და მონაწილეობის ხელშეწყობა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და დემოკრატიული განვითარების წინაპირობაა. რაც ქმნის იმის აუცილებელ საჭიროებას, რომ ხელშეწყობილი იქნას ახალგაზრდების პიროვნული, სოციალური, სამოქალაქო, ინტელექტუალური და ღირებულებითი განვითარება, მხარდაჭერილი იქნას ახალგაზრდების შესაძლებლობების გამოვლენა და პოტენციალის რეალიზება და ხელშეწყობილი იქნას ახალგაზრდების ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.<br>თანამედროვე სამყაროში, გლობალიზაციის პირობებში, ახალგაზრდები უამრავი გამოწვევის წინაშე დგანან, სწრაფად ცვალებადი გარემო, ტექნოლოგიების განვითარება და კონკურენცია, განსაკუთრებით მაღალ მოთხოვნებს უყენებენ ახალგაზრდებს. ამდენად, სახელმწიფოს მხრიდან გარდა ფორმალურისა, საჭიროა არსებობდეს ხელმისაწვდომი არაფორმალური საგანმანათლებლო პროგრამები იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს ახალგაზრდების სრულყოფილი განვითარების შესაძლებლობები და მათი აღჭურვა თანამედროვეობისა და მომავლისთვის საჭირო გამჭოლი კომპეტენცებით. |
| | აღიარებულია, რომ სახელმწიფო უფლება-მოვალეობების განხორციელება, ხელისუფლების იმ ორგანოების მიერ უკეთ სრულდება, რომლებიც ყველაზე ახლოს არიან მოქალაქეებთან. ადგილობრივი თვითმმართველობა კი, ადგილობრივ ახალგაზრდებთან, ყველაზე დაახლოებული ორგანოა, რაც მუნიციპალიტეტს აძლევს იმის საშუალებას, ხელი შეუწყოს ადგილობრივი ახალგაზრდების განვითარებას. |
| | სახელმწიფო ახალგაზრდობის პოლიტიკის თანახმად, საქართველოში ახალგაზრდის ასაკად განსაზღვრულია 14-29 წელი. აღნიშნული ასაკობრივი ჯგუფი, თავის მხვრივ იყოფა შემდეგ ასაკობრივ კატეგორიებად: 14 - 17, 18 - 21, 24 - 25, 26-29, ყოველი ასაკობრივი კატეგორია ხასიათდება განსხვავებული ინტერესებითა და საჭიროებებით.<br>ადამიანის ასაკობრივი განვითარების თეორიების თანახმად, სხვადასხვა ასაკში, ახალგაზრდებს განსხვავებული საჭიროებები და ინტერესები გააჩნიათ, შესაბამისად მნიშვნელოვანია, რომ ახალგაზრდების განვითარების ხელშეწყობისთვის საჭირო პროგრამების დაგეგმვის დროს, ახალგაზრდების წინაშე არსებული საჭიროებების, გამოწვევებისა და ინტერესების შესახებ კვლევებით დადასტურებული მტკიცებულებების გარდა, გათვალისწინებული იქნას ასაკობრივი განვითარებისთვის დამახასიათებელი თავისებურებებიც და ინტერესებიც. მაგალითად, 14-დან 18 წლამდე ასაკის განვითარების მახასიათებლებია ინტერესის გამოვლენა იმ ცოდნის მიმართ, რაც ფორმალური განათლების ფარგლებს სცილდება, ახალგაზრდებს ამ ასაკში აქვთ შემოქმედებითობის მოთხოვნილება, ინტერესი მხატვრული ლიტერატურისადმი და თანატოლებთან ურთიერთობის მოთხოვნილება. უყალიბდებათ თვითშეფასება, მსოფლმხედველობა, ლოგიკური აზროვნება და წარმოსახვის უნარი. |
| | 18-დან 24 წლის ახალგაზრდების მთავარი საზრუნავი განათლების მიღებაა, რომელიც უზრუნველყოფს მათ ინტეგრაციას შრომის ბაზარზე. ამ ასაკში ახალგაზრდების ინტერესია ასევე, დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყება და საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბება. ეს ასაკობრივი პერიოდი ასევე დაკავშირებულია ასოციალური ქცევის, სოციალურ ურთიერთობებში პრობლემების, წარუმატებელი კარიერული არჩევანის, სიღარიბისა და სხვა რისკებთან.<br>25 წელს ზემოთ ახალგაზრდების ძირითადი მიზანია იყვნენ საზოგადოების სრულფასოვანი, დამოუკიდებელი წევრები, მოახდინონ შრომის ბაზარზე მათი მდგომარეობის სტაბილიზაცია და დაიწყონ ოჯახური ცხოვრება. |
| | საზოგადოებაში ახალგაზრდების ინტეგრაცია დამოკიდებულია მასზე, თუ როგორ არის დაცული ახალგაზრდების საჭიროებები და ინტერესები სხვადასხვა სექტორებში, როგორიცაა დასაქმება, განათლება, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვა. აღნიშნულის მიღწევისთვის, ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ პირველ რიგში, ახალგაზრდები გათვითცნობიერებულნი და ინფორმირებულნი უნდა იყვნენ თავიანთი უფლებების შესახებ და აღჭურვილნი ყველა იმ კომპეტენციებით, რაც დაეხმარებათ მათ დაიცვან თავიანთი უფლებები და მოითხოვონ უკეთესი პირობები განათლების, დასაქმების, ჯანდაცვისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის და თავადაც, შეიტანონ წვლილი მდგომარეობის გაუმჯობესებაში. რისი მიღწევისთვისაც მათ ესაჭიროებათ მხარდაჭერა და არაფორმალურ განათლებასთან ხელმისაწვდომობა. |

| | |
|---|---|
| პროგრამის აღწერა | როდესაც ახალგაზრდებს აქვთ განცდა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა მხარს უჭერს მათ განვითარებას, რეალიზებას და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობას, და მათი ინტერესების გათვალისწინებით მოქმედებს, ასეთ შემთხვევაში, ახალგაზრდების სოციალური პასუხიმგებლობა, მოქალაქეობრივი თვითშეგნება, პიროვნული განვითარების დონე, ეკონომიკური მდგომარეობა, თუ ყოფითი ცხოვრება თანდათანობით უმჯობესდება და იცვლება უკეთესობისკენ.<br>2021 წლის მონაცემებით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში 14 - 29 წლის ასაკის 36 897 ახალგაზრდაა რეგისტრირებული. მათი განვითარების ხელშეწყობა კი, პირდაპირ აისახება ქალაქისა და ქვეყნის მომავალ კულტურულ, სოციალურ, დემოკრატიულ, ეკონომიკურ და მდგრად განვითარებაზე.<br>საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია ადგილობრივ დონეზე ხელი შეუწყოს ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარებას. |
| | საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 17 ივლისის №7054 დადგენილების „2020–2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფცია“, თანახმად კი, ადგილობრივმა ხელისუფლებამ თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ხელი უნდა შეუწყოს კონცეფციით განსაზღვრული სტრატეგიული პრიორიტეტების განხორციელებას, აგრეთვე მუნიციპალიტეტების დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელებას. კონცეფციით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად კონცეფცია განსაზღვრავს 5 სტრატეგიულ პრიორიტეტს და 22 მოსალოდნელ შედეგს, მათ შორისაა: საზოგადოებრივ ცხოვრებასა და დემოკრატიულ პროცესებში ახალგაზრდების აქტიური მონაწილეობა, ახალგაზრდების განვითარებისა და მათი პოტენციალის რეალიზების ხელშეწყობა, ახალგაზრდების ჯანმრთელობა და კეთილდღეობა,  ახალგაზრდების ეკონომიკური გაძლიერება, ცენტრალურ და მუნიციპალიტეტების დონეებზე სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის მართვის სრულყოფა. აღნიშნული სტრატეგიული მიმართულებების შესრულებაზე პასუხისმგებელი არიან საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებები. |
| | 2021 წლის 13 აპრილს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასა და სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოს შორის დადებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე, ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ შემუშავდა ახალგაზრდობის განვითარების მუნიციპალური სტრატეგიის პროექტი, რომლიც ეყრდნობა „2020–2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციას“, ლოკალურ დონეზე ჩატარებული კვლევის მტკიცებულებებს და დაინტერესებულ მხარეებთან გამართულ კონსულტაციების შედეგებს.<br>პროგრამა ეფუძნება „2020–2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციას“, კვლევის შედეგებს, ახალგაზრდობის სფეროში არსებულ რეკომენდაციებს, საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკას, ევროსაბჭოს ქარტიას "ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე ახალგაზრდების მონაწილეობის შესახებ", ევროკავშირის საბჭოს 2018 წლის 22 მაისის რეკომენდაციას "მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის საკვანძო კომპეტენციების შესახებ",  გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებს და სხვა მნიშვნელოვან დოკუმენტებს. |
| | ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ ბათუმში მცხოვრები ახალგაზრდების სრულფასოვანი განვითარების მხარდაჭერისა და ხელშეწყობის მიზნით,  „ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობის" პროგრამის ფარგლებში, 2023-2026 წლებში ბათუმში მცხოვრები და რეგისტრირებული ახალგაზრდებისთვის იმოქმედებს ახალგაზრდული სივრცე, რომლის ბაზაზეც და განხორციელდება არაფორმალური განათლების ხელშეწმყობი და სხვა ღონისძიებები, რომელიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდებში საჭირო კომპეტენციების განვითარებას. მხარდაჭერილი იქნება ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების ჩატარება და ხელშეწყობილი იქნება ახალგაზრდების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მათ შორის, იფუნქციონირებს ახალგაზრდული საბჭო, მოხალისეთა კლუბი, ჩატარდება ახალგაზრდული ფორუმი და დაფინანსდება ახალგაზრდების ინიციატივები. გარდა აღნიშნულისა, ახალგაზრდებს ექნებათ შესაძლებლობა შეიკრიბონ უსაფრთხო, თავისუფალ და საგანმანათლებო ახალგაზრდულ სივრცეში კერძოდ, ქვეპროგრამის „ახალგაზრდული ცენტრის" განხორციელებისთვის გამოყოფილ ფართში, იმსჯელონ აქტუალურ და მათთვის საინტერესო თემებზე, გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობები, კულტურული მისწრაფებები და გაუზიარონ თანატოლებს თავიანთი ინტერესები და თავისუფალი დრო საინტერესოდ და პროდუქტიულად დახარჯონ. არაფორმალური განათლებითა და ახალგაზრდულ სივრცეში შეკრებებით, ახალგაზრდების დაინტერესებისა და მიზიდვის მიზნით, უკვე არსებულ ახალგაზრდულ ცენტრში მოეწყობა გასართობი სივრცე, რაც ახლგაზრდების მოზიდვის მნიშვნელოვანი საშუალება იქნება და ახალგაზრდების ჩართულობასა და ახალგაზრდების განვითარების ხელშემწყობი პროგრამებით დაინტერესებას გაზრდის, ამავდროულად ხელს შეუწყობს ახალგაზრდების თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენებას, დასვენებისა და გართობის უფლების რეალიზებას, საერთო ინტერესების მქონე ახალგაზრდების დაახლოებასა და ერთობლივად ინიციატივებისა და იდეების განხილვას, პროექტების შექმნასა და განხორციელებას. |
| | არაფორმალური განათლებისა და ახალგაზრდული სივრცის სერვისებზე რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდის ხელმისაწვდომობის მიზნით, ქალაქის ცენტრისგან დაშორებულ უბნებშიც მოეწყობა ახალგაზრდული სივრცეები, რომლებშიც ასევე ხელმისაწვდომი იქნება არაფორმალური განათლების სერვისიც, რაც საშუალებას მისცემს ქალაქის ცენტრიდან მოშორებით მცხოვრებ ახალგაზრდებს ადგილზე მიიღონ ის სერვისები, რასაც ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია ახალგაზრდების განვითარების მხარდაჭრის, კერძოდ კი ახალგაზრდული სივრცის ხელმისაწვდომობისა და არაფორმალური განათლების ხელშეწყობის ფარგლებში ახორციელებს.<br>დაგეგმილი ახალგაზრდული საქმიანობა ხელს შეუწყობს, ახალგაზრდების პიროვნულ, გონებრივ, ფიზიკურ, სოციალურ, კულტურულ, პროფესიულ თუ ეკონომიკურ განვითარებას და მნიშველოვნად უზრუნველყოფს დანაშაულის, დისკრიმინაციის, ძალადობის, არაჯანსაღი ცხოვრების წესისა და მავნე ნივთიერებების მოხმარების პრევენციას ახალგაზრდებში. |
| | პროგრამის ფარგლებში 2023-2026 წლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:<br>1. ახალგაზრდული ცენტრი;<br>2. ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა; |
| პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო  შედეგი | ხელშეწყობილია ახალგაზრდების განვითარება და მონაწილეობა |

ინდიკატორის მაჩვენებლები

| № | საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი | საბაზისო<br>2022 წელი | მიზნობრივი<br>2023 წელი | მიზნობრივი<br>2024 წელი | მიზნობრივი<br>2025 წელი | მიზნობრივი<br>2026 წელი | ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ ღონისძიებებში ახალგაზრდების დასწრების საერთო მაჩვენებელი | 3 000 | 3 600 | 5 500 | 6 000 | 7 000 | 5% - პროგრამის ცნობადობის ნაკლებობა ან/და ახალგაზრდების დაბალი ინტერესი |
| 2 | ქალაქის გარეუბნებში მოწყობილია და ფუნქციონირებს ახალგაზრდული სივრცეები | - | - | - | 6 | 8 | არასაკმარისი ბიუჯეტი/ფინანსური რესურსის არარსებობა |
| 3 | ახალგაზრდულ ცენტრში ფუნქციონირებს გასართობი სივრცე | - | - | 1 | 1 | 1 | არასაკმარისი ბიუჯეტი/ფინანსური რესურსის არარსებობა |
| 4 | დაფინანსებული ახალგაზრდული ინიციატივების რაოდენობა (არანაკლებ) | 10 | 10 | 12 | 14 | 16 | 20% - ქვეპროგრამის ცნობადობის ნაკლებობა და ახალგაზრდების დაბალი ინტერესი |
| 5 | ჩატარებული ღონისძიებების მოსარგებლეები მიიჩნევენ, რომ ღონისძიებებში მონაწილეობით მიღებულმა სარგებელმა უკეთესობისკენ შეცვალა მათი დამოკიდებულებები, ცოდნა და უნარები, რაც დადებით ზეგავლენას იქონიებს მათ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე | საორიენტაციო მაჩვენებელი - 65%-ზე მეტი | საორიენტაციო მაჩვენებელი - 65% მეტი | საორიენტაციო მაჩვენებელი - 70% მეტი | საორიენტაციო მაჩვენებელი - 75% მეტი | საორიენტაციო მაჩვენებელი - 80% მეტი | 10% - ღონისძიებების დაბალი ხარისხი. |

## ქვეპროგრამის ფორმა

| ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: | ქვეპროგრამის დასახელება | პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა |
|---|---|---|
| 05 06 01 | ახალგაზრდული ცენტრი | ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა |

| ქვეპროგრამის განმახორციელებელი: | ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური | ქვეპროგრამის ბიუჯეტი | 2023 წლის დაფინანსება (ლარი) | 2024 წლის დაფინანსება (ლარი) | 2025 წლის დაფინანსება (ლარი) | 2026 წლის დაფინანსება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 305 000 | 390 000 | 420 000 | 450 000 |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის მიზანი | ახალგაზრდების ინტერესებსა და საჭიროებებზე მორგებული ახალგაზრდული სივრცის ფუნქციონირების უზრუნველყოფა;<br>არაფორმალური განათლების მიღების შესაძლებლობების შექმნა;<br>ახალგაზრდების პიროვნული, სოციალური და სამოქალაქო განვითარების ხელშეწყობა;<br>მონაწილეობის ხელშეწყობა. |
| ქვეპროგრამის აღწერა | ახალგაზრდული ცენტრები წარმოადგენს მთავარ ინფრასტრუქტურას ახალგაზრდული საქმიანობის განხორციელებისთვის. საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა მოწმობს (მ.შ. ლიეტუვა, ფინეთი, ესტონეთი, დანია, დიდი ბრიტანეთი ...), რომ ახალგაზრდების განვითარების ხელშემწყობ მრავალფეროვან ფორმებს შორის, მნიშვნელოვანი ადგილი სწორედ, ახალგაზრდული ცენტრებს, სივრცეებს, შეკრების ადგილებს უჭირავს.<br><br>ახალგაზრდული სივრცე არის ახალგაზრდების განვითარებაზე ორიენტირებული, უსაფრთხო, არაფორმალური გარემო, ადგილი, სადაც ახალგაზრდებს ერთმანეთთან კომუნიკაციისა და ურთიერთობის შესაძლებლობა ეძლევათ და მორგებულია მათ ინტერესებსა და საჭიროებებზე.<br><br>ახალგაზრდული სივრცე ახალგაზრდებს აძლევს საშუალებას გაიფართოონ თავიანთი წრე ახალი ადამიანებით, როგორც თანატოლებით, ასევე ზრდასრულებით, ჰქონდეთ, განვითარებაზე ორიენტირებული შეკრების ადგილი, სადაც მათ მიმართ ღია, მიმღებლური დამოკიდებულებაა და რომლის მიმართაც უჩნდებათ მიკუთვნებულობის განცდა, სადაც  შეუძლიათ მოსინჯონ სხვადასხვა როლები, მოახდინონ რეფლექსია საკუთარ განვითარებაზე და მიიღონ მხარდაჭერა და რჩევები. სივრცეების საჭიროებასა და ახალგაზრდების მიერ სივრცეებზე ხელმისაწვდომის გაზრდის საჭიროებას, ამყარებს, „ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდების საჭიროებებისა და გამოწვევების კვლევა - მუნიციპალურ და რეგიონულ დონეზე" (კვლევისა და საკონსულტაციო კომპანია „ეისითი“, აგვისტო, 2021), რომლის მიგნებებში, აღნიშნულია, რომ „ხელმისაწვდომობა სივრცეებზე შეკრებებისთვის (აჭარის რეგიონი - 5%, ბათუმის მუნიციპალიტეტი - 6%) და ახალგაზრდული საქმიანობის სერვისებზე (აჭარის რეგიონი - 3%, ბათუმის მუნიციპალიტეტი - 4%) თითქმის არ არსებობს.<br><br>„ახალგაზრდული საქმიანობა წარმოადგენს საგანმანათლებლო საქმიანობას ახალგაზრდებთან და ახალგაზრდებისთვის, რომელიც ხორციელდება ფორმალური განათლების, ოჯახური და სამსახურებრივი კონტექსტის მიღმა და ხელს უწყობს ახალგაზრდების განვითარებას და კეთილდღეობას, საზოგადოებაში მათ აქტიურ მონაწილეობასა და ინტეგრაციას, ახალგაზრდული საქმიანობა ქმნის კომფორტულ, უსაფრთხო და სასიამოვნო გარემოს, რომელშიც ახალგაზრდებს შეუძლიათ გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები, ისწავლონ ერთმანეთისგან და განვითარდნენ. ახალგაზრდულ საქმიანობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არაფორმალურ განათლებას“  ვკითხულობთ ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების სტრატეგიაში (2015 წ). ახალგაზრდულ სივრცეებში არაფორმალური განათლების შესაძლებლობების შექმნის საჭიროებაზე კეთდება აქცენტი, „ახალგაზრდების საჭიროებებისა და გამოწვევების კვლევის (საკონსულტაციო კომპანია „ეისითი“, აგვისტო, 2021) რეკომენდაციაშიც: „სასურველია ახალგაზრდების შეკრებებისთვის, დისკუსიების გამართვისა და სხვადასხვა აქტივობების ორგანიზებისთვის მეტი სივრცის მობილიზება ქალაქში, სადაც ახალგაზრდები არაფორმალური განათლების მიღებას შეძლებენ“.<br><br>გარდა აღნიშნულისა, სწრაფად განვითარებად, ტექნოლოგიურ, გლობალურ ერაში, ფორმალური განათლება ვერ იძლევა ადამიანის სრულფასოვანი განვითარების საშუალებას, შესაბამისად საჭირო გახდა, რომ ის დანაკლისი, რასაც ვერ ავსებს ფორმალური განათლება, შევსებული იქნას მთელი ცხოვრების მანძილზე უწყვეტი განათლებითა და არაფორმალური განათლებით. არაფორმალური სწავლის ხელშეწყობის პირველი ნაბიჯი კი არის ინვესტირება უნარებსა და კომპეტენციებში. (ევროკავშირის საბჭოს რეკომენდაცია 22 მაისი 2018 წელი მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის საკვანძო კომპეტენციების შესახებ) ამას გარდა,, ოჯახი და ახალგაზრდების ირგვლივ არსებული გარემოც (ინფორმალური განათლება), სრულყოფილად ვერ იძლევა ისეთი კომპეტენციების განვითარების შესაძლებლობას, რაც საჭიროა  სიცოცხლის მანძილზე არსებული გამოწვევებისთვის, თვითდამკვიდრების, სოციუმში ინტეგრირების, პიროვნული, ინტელექტუალური განვითარების, დასაქმებისა და ახალგაზრდების სამოქალაქო საზოგადოებად ჩამოყალიბებისთვის. ამიტომ, მნიშვნელოვანია, სახელმწიფო უზრუნველყოფდეს ახალგაზრდული საქმიანობის განხორციელების პირობებს და ქმნიდეს შესაძლებობებს არაფორმალური განათლების მიღებისთვის.  „ახალგაზრდა თაობისათვის რეალური, ფიზიკურად არსებული შეხვედრების სივრცეების მოწყობა და არაფორმალური განათლების შესაძლებლობების შექმნა მნიშვნელოვანი ნაბიჯია იმისათვის, რომ საქართველოს მიეცეს შესაძლებლობა გზა გაიკვლიოს უკეთესი მომავლისაკენ" ვკითხულობთ „ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელება ადგილობრივ დონეზე: იმერეთი და თბილისი" საქართველოში ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით ჩატარებულ 2020 წლის კვლევაში. |

არაფორმალური განათლება სახელმწიფო ახალგაზრდობის პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაცაა.
„2020–2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციის“დამტკიცების შესახებ საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 17 ივლისის №7054 დადგენილების თანახმად, „არაფორმალურ განათლებას პიროვნების განვითარებაში განსაკუთრებული წვლილი შეაქვს და მას ფორმალური განათლება ვერ ჩაანაცვლებს. არაფორმალური განათლების პროცესში ახალგაზრდების აქტიურ ჩართვას არაერთი დადებითი შედეგი აქვს: უნარებისა და შესაძლებლობების განვითარება (ადამიანური კაპიტალი); პოზიტიური ურთიერთობების დამყარება (სოციალური კაპიტალი); ქცევის (მაგალითად, ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველი ქცევის) შეცვლა (ჯანმრთელობის ხელშეწყობა) და პიროვნული ზრდა".

ამასთან, ქალაქ ბათუმში, მოზარდებსა და ახალგაზრდებს შორის მწვავედ დგას ისეთი პრობლემები, როგორიცაა არასასურველი ქცევა, ბულინგი და დისკრიმინაცია. მაგალითად, „ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდების საჭიროებებისა და გამოწვევების კვლევის“ (კვლევისა და საკონსულტაციო კომპანია „ეისითი“, აგვისტო, 2021) „სარისკო ქცევების“ ქვეთავში, გავრცელებულ სარისკო ქცევებს შორისაა სიგარეტის მოხმარება, თანამედროვე ტექნოლოგიებით გატაცება, ალკოჰოლის მოხმარება, აზრატული თამაშებით გატაცება და მარიხუანას მოხმარება, კლუბური ნარკოტიკისა და საძილე-დამამშვიდებელი საშუალებების მოხმარებაც. ხოლო, ამავე კვლევის „დისიკრიმინაციის გამოცდილება“ ქვეთავში ვკითხულობთ: „განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ ბათუმის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებმა დისკრიმინაციის ისეთ ქცევებზე მიუთითეს, რომლებიც ე.წ. „შავი მენტალიტეტის “არსებობას უკავშირდება “„სკოლაში ბულინგის მთავარი მიზეზი არის ქუჩური მენტალიტეტი, ძალიან გავრცელებულია სკოლაში მჩაგვრელობითი ბავშვები, შავი მენტალიტეტის მიმდევრები სხვებს იმის გამო აბულინგებენ, რატომ არ იცი ეს შავი მენტალიტეტი, ჟარგონები და მსგავსი". ახალგაზრდული სივრცისა და მის ბაზაზე არაფორმალური განათლების მიღების შესაძლებლობები, ახალგაზრდებში დანაშაულისა და არასასურველი ქცევის პრევენციაც იქნება.

არაფორმალური განათლების ღონისძიებების ფარგლებში, ასევე, მნიშვნელოვანია პროფორიენტაციის, დასაქმებისთვის საჭირო უნარებისა და კარიერული განვითარების ხელშეწყობი ღონისძიებების განხორციელებაც, ვინაიდან „ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდების საჭიროებებისა და გამოწვევების კვლევის“ (კვლევისა და საკონსულტაციო კომპანია „ეისითი“, აგვისტო, 2021) მიგნებებში ვკითხლობთ რომ: "ახალგაზრდებისთვის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული გამოწვევა დასაქმებაა, რაშიც ხელშეწყობა სახელდება ყველაზე მნიშვნელოვნად (50%). დასაქმების ხელშემწყობაში ახალგაზრდები ძირითადად,  მოიაზრებენ კარიერული დაგეგმვის სერვისებზე და პროფორიენტაციის სერვისებზე ხელმისაწვდომობას, ახალგაზრდებისთვის სხვადასხვა პროფესიისა თუ შრომის ბაზრის მოთხოვნების გაცნობას, დასაქმებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების დაუფლებაში ხელშეწყობას და ა.შ.

„ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდების საჭიროებებისა და გამოწვევების კვლევის" ერთ-ერთი მთავარი მიგნება და გამოწვევა მონაწილეობის დაბალი მაჩვენებელია. რაოდენობრივ კვლევაში გამოკითხული 200 რესპოდენტიდან "თავიანთი მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების პროცესში ბოლო 1-2 წლის გათვალისწინებით მონაწილეობა არ მიუღია გამოკითხულთა აბსოლუტურ უმრავლესობას (ბათუმის მუნიციპალიტეტი - 97%).
ახალგაზრდების საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის ხელშეწყობა და ახალგაზრდების აქტიური მონაწილეობა კი, აუცილებელია დემოკრატიული, ინკლუზიური და წარმატებული საზოგადოების მშენებლობისთვის. ახალგაზრდებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა მიიღონ გადაწყვეტილებები იმ საკითხებზე, რომლებიც გავლენას ახდენს მათზე. ახალგაზრდების მონაწილეობას საზოგადობერივი მნიშვნელობის საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, აქვს მთელი რიგი საფუძვლები და სარგებელი და არა მხოლოდ ის, რომ იგი შეესაბამება გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-12 მუხლის მოთხოვნებს და კარგი მმართველობის პრინციპებს, არამედ ის ასევე ქმნის აქტიური მოქალაქეობის განხორციელების პლატფორმას და იძლევა საჯარო პოლიტიკაში გასათვალისწინებელი ახალგაზრდების საჭიროებების გამოვლენის შესაძლებლობას.
ახალგაზრდული სფეროს მკვლევარები და ახალგაზრდული მუშაობის პრაქტიკოსები აღნიშნავენ, რომ ახალგაზრდობის მონაწილეობა მნიშვნელოვანია, რადგან ეს ერთის მხრივ: ახდენს პოზიტიურ ცვლილებას  ახალგაზრდების ცხოვრებაზე, ახალგაზრდები იძენენ უნარებს და თავდაჯერებულობას, ახალგაზრდებს აძლევს სტიმულს აიღონ პასუხისმგებლობა საკუთარ გადაწყვეტილებებზე, ეხმარება ახალგაზრდებს  გაიგონ როგორ მუშაობს დემოკრატია პრაქტიკაში, ახალგაზრდებს აძლევს სივრცეს გამოიყენონ მათი ნიჭი და უნარები საზოგადოების სასარგებლოდ, ის ასევე ეხმარება უფროსებს გაიგონ ახალგაზრდების საჭიროებები და მათი შეხედულებები და ბიძგს აძლევს ახალი იდეების ჩამოყალიბებას საზოგადოების და ქვეყნის განვითარებისთვის.

საქართველოში ჩატარებული „ახალგაზრდული სფეროს კვლევის" (საზოგადოებრივი აზრის კვლევისა და მარკეტინგის ინსტიტუტი, 2011 წ) მიხედვით, კითხვაზე: „როგორი ფორმით სურთ ახალგაზრდებს იყვნენ ჩართულები ახალგაზრდულ სფეროში და ზოგადად საზოგადოებრივ საქმიანობაში?", „ახალგაზრდების ინიციატივა და მართვა ახალგაზრდების მიერ" 26,8%-ით შეფასდა, როგორც ჩართულობის ერთ-ერთი ყველაზე სასურველი ფორმა, როდესაც ახალგაზრდები იჩენენ ინიციატივას და თავიდან ბოლომდე დამოუკიდებლად მართავენ და ახორციელებენ პროექტებს.

„ადგილობრივ და რეგიონულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახალგაზრდების მონაწილეობის შესახებ“ ევროპული ქარტიის თანახმად, „ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე გადაწყვეტილების მიღებასა და ღონისძიებების განოხრციელებაში ახალგაზრდობის აქტიური მონაწილეობა მეტად მნიშვნელოვანია დემოკრატიული, ყოვლისმომცველი და წარმატებული საზოგადოების ასაშენებლად. მიუხედავად არჩევნებში მოქალაქეების მონაწილეობისა, დემოკრატიულ პროცესებში მონაწილეობა უფრო მეტია, ვიდრე არჩევნებში ხმის მიცემით საკუთარი პოზიციის დაფიქსირება. მონაწილეობა და მოქალაქოებრივი აქტივობა გულისხმობს უფლებების, საშუალებების, სივრცისა და შესაძლებლობათა ქონას, საჭიროების შემთხვევაში კი, მონაწილეობაში მხარდაჭერასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩაბმას, უკეთესი საზოგადოების შექმნის მიზნით.
ხელისუფლების ადგილობრივ და რეგიონულ ორგანოებს, როგორც ახალგაზრდობასთან ყველაზე მეტად დაახლოებულ ინსტიტუტებს, მნიშვნელოვანი როლი ენიჭებათ ახალგაზრდობის მონაწილეობის წასახალისებლად. მათ შეუძლიათ ახალგაზრდების არა მხოლოდ ინფორმირება დემოკრატიისა და მოქალაქეობის შესახებ, არამედ მათთვის ყოველივე ამის პრაქტიკულად წარმოჩენა. ახალგაზრდობის მონაწილეობა მხოლოდ აქტიური მოქალაქეობისა თუ დემოკრატიის ცნებების დამკვიდრებას არ გულისხმობს. ის რამდენადმე ღირებულია, თუ ახალგაზრდები გავლენას ახდენენ გადაწყვეტილებების მიღების პორცესზე ჯერ კიდევ თავიანთ ახალგაზრდობაში და არა მხოლოდ, ცხოვრების შემდგომ საფეხურზეც. მონაწილეობის გასაზრდელად, კი აუცილებელია მდგრადი მექანიზმების დანერგვა.

მნიშვნელოვანია რომ ახალგაზრდებს გააჩნდეთ არაფორმალური განათლების მიღების შესაძლებლობები, რომლის ფარგლებშიც შიძენენ იმ გამჭოლ კომპეტენციებს მათ დაეხმარებათ გლობალიზაციის და თანამედროვე მოთხოვნების პირობებში ორიენტირსა და თავის რეალიზებაშიი. ვინაიდან, 2000 წლის მარტში, ლისაბონში შეკრებილმა ევროპულმა საბჭომ აღიარა, რომ ევროპა დგას გლობალიზაციის გამოწვევისა და ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ზრდის წინაშე, ხაზი გაესვა იმას, რომ ყოველი მოქალაქე აღჭურვილი უნდა იყოს იმ უნარებით, რომლებიც აუცილებელია ამ ახალ ინფორმაციულ საზოგადოებაში ცხოვრებისთვის და მუშაობისთვის და რომ ევროპულმა ჩარჩომ უნდა განსაზღვროს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისთვის საჭირო ახალი საბაზისო უნარ-ჩვევები. საკვანძო კომპეტენციები კი ის კომპეტენციებია, რომლებიც ხელს უწყობენ პიროვნულ სრულყოფას, სოციალურ ჩართულობას, აქტიურ მოქალაქეობას და დასაქმებას.
(საკვანძო კომპეტენციები მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისთვის ევროპული ჩარჩო ევროპარლამენტისა და ევროპული საბჭოს რეკომენდაციები, თბილისი 2006, "ტრენინგისა და კონსულტაციის ცენტრი").

საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის, დარგობრივი რეკომენდაციების, ევროკავშირის საბჭოს 2018 წლის 22 მაისის რეკომენდაციას "მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის საკვანძო კომპეტენციების შესახებ", გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების, საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციისა და ახალგაზრდების საჭიროებებისა და გამოწვევების კვლევების მტკიცებულებებსა და კვლევით გამოკვეთილი გამოწვევების გადაწყვეტის გზების მოძიების მიზნით დაინტერესებულ მხარეებთან გამართული დისუსიებით, მიზანშეწონილია, ქ. ბათუმში მცხოვრები ახალგაზრდების განვითარებისა და მონაწილეობის ხელშეწყობისთვის, ფუნქციონირებდეს ახალგაზრდული სივრცე და მის ბაზაზე, ხორციელდებოდეს ახალგაზრდების განვითარებისა და მონაწილეობის ხელშემწყობი ღონისძიებები. სწორედ, აღნიშნული მიზნით, განხორციელდება ქვეპროგრამა „ახალგაზრდული ცენტრი", რომელიც ერთის მხვრივ იქნება ახალგაზრდების შეკრებისა და თავისუფალი დროის რაციონალურად ხარჯვის სივრცე, ხოლო მეორეს მხვრივ სივრცის ბაზაზე, არაფორმალური განათლების მიღების შესაძლებლობა, გარდა ამისა, ქვეპორგრამის ფარგლებში, განხორციელდება მონაწილეობის ხელშემწყობი ღონისძიებები. ქვეპროგრამის ფარგლებში ხელშეწყობილი იქნება შემდეგი კომპეტენციების განვითარება: **მოქალაქეობრივი კომპეტენცია, გარემოსდაცვითი კომპეტენცია, ანალიტიკური, ტექნოლოგიური, სამეწარმეო, მედიაწიგნიერების, ინიციატივის კომპეტენცია, შემოქმედებითობისა და კრიტიკული აზროვნების კომპეტენცია, დამოუკიდებლად სწავლის კომპეტენცია, ურთიერთობის კომპეტენცია, მონაწილეობითი, კულტურული გამოხატვისა და კულტურათა-შორისი ურთიერთობის კომპეტენცია, ჯანმრთელობის დაცვისა და ჯანსაღი ცხოვრების კომპეტენცია. ამასთან, განხორციელდება ღონისძიებები ახალგაზრდების პროფორიენტაციის, დასაქმებისთვის საჭირო უნარებისა და კარიერული განვითარების ხელშეწყობის მხვრივ.**
ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

**1. ახალგაზრდული ცენტრის მოვლა-პატრონობა, ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა -**
აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში განხორციელდება ქვეპროგრამის „ახალგაზრდული ცენტრის" განხორციელებისთვის გამოყოფილი, უკვე არსებული ფართის - ახალგაზრდული სივრცის (ქ. ბათუმი, მის: რუსთაველის 51), სანიტარიულ - ჰიგიენური მოვლა-პატრონობა; ყოველთვიურად წარმოშობილი კომუნალური ხარჯის დაფარვა; ინტერნეტ მომსახურებით უზრუნველყოფა, ლიფტის მოვლა-პატრონობის უზრუნველყოფა; ელექტრომექანიკოსისა და სანტექნიკოსის მომსახურების უზრუნველყოფა, ლეპტოპისა და ჟალუზების შეძენა, გათბობის საშულებების შეკეთება, საჭიროების შემთხვევაში ახლის შესყიდვა და სხვა თანმდევი მომსახურება.

**2. არაფორმალური განათლების ხელშეწყობა** - ღონისძიების ფარგლებში, დაგეგმილია ბათუმის მერიის ახალგაზრდული ცენტრის, იგივე ახალგაზრდული სივრცის - ბაზაზე, არაფორმალური განათლების პროგრამის განხორციელება, რომლის მიზანია, ბათუმში მცხოვრებ მოზარდებსა და ახალგაზრდებში თანამედროვეობისთვის საჭირო კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობა, დანაშაულის, დისკრიმინაციის, ძალადობის, არაჯანსაღი ცხოვრების წესის და არასასურველი ქცევის პრევენცია, ფსიქოლოგიური მხარდაჭერა და ა.შ.
ღონისძიების ფარგლებში ჩატარდება შემდეგი **ქვეღონისძიებები და აქტივობები:**

**ფსიქოლოგის საათი** - მოზარდობა იგივე, გარდამავალი ასაკი, განსაკუთრებულად რთული და პრობლემურია, მით უფრო, არასრულწლოვანთა შორის გახშირებული ძალადობის ფაქტების ფონზე. სამწუხაროდ, ზოგადასაგანმანათლებლო დაწესებულებებს ამ დრომდე არ აქვთ მოზარდისთვის ფსიქოლოგიური მხარდაჭერის სერვისები, აღნიშნული გარემოებების გათვალისიწინებითა და ახალგაზრდების ინტერესებისა და საჭიროებების შესაბამისად, განხორციელდება ღონისძიება „ფსიქოლოგის საათი", რომლის ფარგლებშიც, მოზარდებისა და ახალგაზრდებისთვის ჩატარდება შეხვედრები, შემდეგი თემების ირგვლივ: 1. „ბულინგი“; 2. "კომუნიკაცია და ინტერპერსონალური ურთიერთობები"; 3. "ბრაზისა და ემოციის მართვა"; 4."თვითშეფასება"; 5."ადიქციური ქცევების მართვა და პრევენცია" (კომპიუტერულ თამაშებზე დამოკიდებულება, სოციალურ ქსელებზე დამოკიდებულება, ფსიქოაქტიური ნივთიერებების და ალკოჰოლის მოხმარება, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება და ა.შ) **(2 ნაწილად)**; 6. „კრიზისული ასაკი და მასთან დაკავშირებული პრობლემების მართვა“; 7. „პრობლემების იდენტიფიცირება და გადალახვის უნარი“, 8. "პოზიტიური აზროვნება“; 9.„მიზნის დასახვა“; 10. „პოზიტიური მშობლობა“; 11. „გადაწყვეტილების მიღება“; 12. „შიში და შფოთვა“; 13. „კომპლექსები (აზროვნების შეცდომები) და მისი მართვა“; „14. გარემოსთან ადაპტაცია და თავისდამკვიდრება“; „15. დამოუკიდებლობა“; 16. „თვითგამორკვევა“, 17. "დეპრესია, პრევენცია და მართვა", 18. "სტრესი, სტრესთან გამკვლავება", 19. "შფოთვა, შფოთვის მართვა", "წინასაგამოცდო სტრესი და პრევენცია", რისთვისაც, ბათუმის ახალგაზრდული ცენტრის ქვეპროგრამისათვის გამოყოფილ სივრცეში 14 წლიდან მოზარდებისა და ახალგაზრდებისთვის ჩატარდება **20** **შეხვედრა** არაერთ კომპეტეტნტურ და პრაქტიკოს ფსიქოლოგებთან. შედეგად, ხელშეწყობილი იქნება მოზარდებისა და ახალგაზრდების ემოციური განვითარება, გაუმარტივდებათ თვითგამორკვევის პროცესი და შეიძენენ ისეთ კომპეტენციებს რაც მათ დაეხმარებათ, გაუმკლავდნენ მათ წინაშე არსებულ ფსიქო-ემოციურ გამოწვევებს, ადიქციურ ქცევებს და მათ შორის მიიღონ პასუხები მათთვის საინტერესო შეკითხვებზე ფსიქოლოგებისგან. შეხვედრების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდება წინასწარ, შეხვედრებზე დასწრების მსურველთათვის კი იწარმოებს ელექტრონული რეგისტრაცია. შედეგის გაზომვისთვის გამოყენებული იქნება პრე და პოსტ ტესტები.

**კლუბები -** ახალგაზრდებისთვის არაფორმალური განათლების შესაძლებლობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მეთოდია სხვადასხვა მიმართულების კლუბების ფუნქციონირება. კლუბი ორგანიზებული სწავლის ერთ-ერთი ფორმაა, რომლის ფარგლებშიც წინამდებარე პროგრამით დასახული მიზნები მიიღწევა. გარდა ამისა, კლუბები იძლევა საერთო ინტერესების მქონე ახალგაზრდების შეკრებისა და გაერთიანების საშუალებას, კლუბის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები სფეროების მიხედვით არის ორგანიზებული და შედეგზე ორიენტირებული. კლუბების მუშაობა მიმართულია ახალგაზრდებში სხვადასხვა გამჭოლი კომპეტენციის დაუფლებისთვის, პოზიტიური ურთიერთობის, სოციალიზაციის, შემწყნარებლობის, ემპათიის, ღირებულებათა სისტემის ფორმირებისა და მსოფლმხედველობის განვითარებისთვის, ამასთან ის პასუხობს გაეროს მდგრადის განვითარების მიზნებს, შესაბამისად, ახალგაზრდული ცენტრის ქვეპროგრამის ფარგლებში იფუნქციონირებს **ლიტერატურის, კინოს, დებატების, ტექნოლოგიებისა და მეწარმეობის კლუბი, ეკოლოგიისა და სამოქალაქო განათლების კლუბები**.

**ლიტერატურის კლუბი** - ლიტერატურის კლუბში ჩატარდება **10 წიგნის** განხილვა.
გამოცხადდება მკითხველთა რეგისტრაცია, 14 – 22 წლის ახალგაზრდებისთვის. განსახილველი წიგნების სია შედგენილი იქნება კომპეტენტური პირების მიერ და ახალგაზრდებს წინასწარ მიეწოდებათ წასაკითხი და განსახილველი წიგნების სია, შედგება წიგნების განხილვის გრაფიკი, რაც ასევე, წინასწარ ეცნობებათ დაინტერესებულ ახალგაზრდებს. განხილვებს წარუძღვებიან და კლუბის წევრებს წიგნების განხილვაში ფასილიტაციას გაუწევენ კომპეტენტური სპეციალისტები (მომსახურების შესყიდვა მოხდება ტენდერით და ტექნიკურ პირობაში ჩაიწერება კონკრეტული მოთხოვნები, თუ რას უნდა აკმაყოფილებდეს სპეციალისტი და რა კომპეტენცია უნდა გააჩნდეს). წაკითხული წიგნებიდან შედგენილი ტესტებით, ჩატარდება შემაჯამებელი, ლიტერატურული ვიქტორინა. კლუბის მიზანია მოზარდებსა და ახალგაზრდებში ღრებულებების, ფასეულობების, კრიტიკული, შემოქმედებითი და ანალიტიკური აზროვნების, მსჯელობის, აზრის გამოხატვისა და სოციალური უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა,
ღონისძიების ხარჯებში გათვალისწინებულია მოწვეული სპეციალისტების ჰონორარები, წამახალისებელი ღონისძიებები აქტიურად ჩართული წვრებისთვის და სხვა თანმდევი მომსახურებები.

**კინოკლუბი -** 14 დან 24 წლამდე მოზარდებსა და ახალგაზრდებში ჰუმანიზმის, ფასეულობებისა და ღრებულებების, კრიტიკული, შემოქმედებითი და ანალიტიკური აზროვნების, მსჯელობის, აზრის გამოხატვისა და სოციალური უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით, იფუნქციონირებს კინოკლუბი. კინოკლუბში მოეწყობა ფილმების ჩვენებები და დისკუსიები. მოწვეული სპეციალისტები (კინომცოდნეები, ფსიქოლოგები, ლიტერატორები, ფილოსოფოსები) ახალგაზრდებთან ერთად განიხილავენ ფილმის სიუჟეტს, მხატვრულ ღირებულებასა და იმ პრობლემურ საკითხებს, რაც ფილმში იყო წარმოჩენილი. იმსჯელებენ მათი გადაჭრის გზებზე, გაავლებენ პარარელს რეალურ ცხოვრებასთან, თავიანთ გამოცდილებებთან და იმსჯელებენ თავად როგორ მოიქცეოდნენ მსგავს სიტუაციაში და რა იქნებოდა პრობლემის გადაჭრის საუკეთსო გზა. წელიწადში სულ მოეწყობა **8 კინოჩვენება**. ფილმები სპეციალისტების მიერ წინასწარ იქნება შერჩეული, მოზარდებისა და ახალგაზრდების კულტურული, ემოციური, ღირებულებითი და სოციალური განვითრების საჭიროებებისა და გამოწვევების გათვალისწინებით. თავისუფლების, სოციალური საკითხების, ადამიანის უფლებების, თანასწორობის, ტოლერანტობის, მოზარდების წინაშე არსებული პრობლემების, საზოგადოებისა და ინდივიდის კონფლიქტისა და სხვა თემებზე. კინოკლუბის ფარგლებში გამართულ შეხვედრებზე იწარმოებს ახალგაზრდების დასწრების აღრიცხვა, რომლის საფუძველზეც წელიწადში ორჯერ გამოვლინდება 20 ყველაზე კარგი დასწრების მქონე ახალგაზრდა, რომლებიც წახალისების მიზნით, დასაჩუქრდებიან კინოთეატრის ვაუჩერით (კინოპრემიერის ბილეთი, პოკორნი, წვენი).
ღონისძიების ფარგლებში გათვალისწინებულია კინომცოდნეების ჰონორარები, კინოთეატრის ვაუჩერი - (კინოპრემიერ ბილეთი, პოპკორნი და გამაგრილებელი სასმელი) და სხვა თანმდევი მომსახურებები.

**დებატ კლუბი -** დებატები ახალგაზრდებში ხელს უწყობს კრიტიკული, ანალიტიკური, არგუმენტირებული აზროვნების, მსჯელობისა და გუნდურობის, პრეზენტაციის, საჯარო გამოსვლისა და სხვა მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევების განვითარებას. დებატებისადმი ინტერესი ახალგაზრდებში ძალიან დიდია, რასაც ადასტურებს სხვადასხვა შეხვედრებისას მათ მიერ გამოთქმული სურვილი, რომ ჰქონდეთ დებატების მაღალ დონეზე დაუფლების შესაძლებლობები და შეჯიბრებები. ამრიგად, ბათუმის მერიის ახალგაზრდულ ცენტრში დებატების კლუბის ფარგლებში ბათუმში მცხოვრებ 14 დან 25 წლის ახალგაზრდებს შესაძლებლობა ექნებათ დაეუფლონ დებატების ტექნიკას და მისი საშუალებით განივითარონ სხვადასხვა კომპეტენციები. კლუბში ჩატარდება ტრენინგები და დებატების ტურნირები. კლუბს ეყოლება შესაბამისი გამოცდილების მქონე ფასილიტატორი, რომელიც ერთის მხრივ ჩაატარებს ტრენინგებს, ხოლო მეორეს მხვრივ წევრებს მისცემს დავალებებს და უზრუნველყოფს დებატ შეჯიბრებების წაყვანას. კლუბის ფარგლებში გაიმართება **8 შეხვედრა.**

**ეკოლოგიის კლუბი -** კლუბის მიზანია 14 დან 24 წლამდე მოზარდებსა და ახალგაზრდებში ეკოლოგიური კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობა. კლუბს ეყოლება ფასილიტატორი, რომელიც ახალგაზრდებს დაეხმარება ეკოლოგიის, გარემოსდაცვის შესახებ ცოდნის მიღების, ეკოლოგიური პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაწყვეტის გზების მოძიებაში, გარემოსთან და ბუნერბივ რესურსებთან მიმართებაში ქცევის ჩამოყალიბებაში. ახალგაზრდებს გაუნაწილებს დასამუშავებელ საკითხებს და პრეზენტაციის დროს მისცემს უკუკავშირს. გარდა აღნიშნულისა, ახალგაზრდებთან ერთად დაგეგმავს გარემოსდაცვასთან დაკავშირებულ კამპანიებს და ხელს შეუწყობს ახალგაზრდების აქტიურ მონაწილეობას მასში, კლუბის ფარგლებში, სულ ჩატარდება **8 ღონისძიება.** კლუბის ფარგლებში განხორციელდება გსავლითი ღონისძიებებიც. კლუბის ფუნქციონირებისთვის გათვლილია კლუბის ფასილიტატორის, საკანცელარიო, პოლიგრაფიული პროდუქციის შესყიდვის, ტრანსპორტირებისა და სხვა ხარჯები.

**სამოქალაქო განათლების კლუბი -** კლუბის მიზანია 14 დან 29 წლის ახალგაზრდებში მოქალაქეობრივი კომპეტენციის, სახელმწიფოებრივი და გლობალური აზროვნების განვითარების ხელშეწყობა. კლუბში ტრენინგებს ჩაატარებენ მოწვეული კვალიფიციური კადრები, შემდეგ თემებზე: 1. ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები; 2. თვითმმართველობა 3. პოლიტიკური იდეოლოგიები და რეჟიმები; 4. სახელმწიფო და სახელმწიფოებრივი აზროვნება 5. მოქალაქე, მისი როლი, მოვალეობები და პასუხისმგებლობები 6. დემოკრატია 7. გენდერული თანასწორობა; 8. სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება; 9. მონაწილეობის უფლება და ფორმები (2 ტრენინგი), ტრენინგის ფარგლებში მონაწილეების მხრიდან უნდა განხორციელდეს მონაწილეობის ერთ-ერთი ფორმის გამოყენება პრაქტიკაში. ამასთან, კლუბის ფასილიტატორმა მსმენელებს უნდა მისცეს დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისთვის... ამასთან, ტრენინგების პროგრამა უმეტესწილად პრაქტიკული ხასიათის იქნება.
სამოქალაქო კლუბის ფარგლებში ასევე ჩატარდება **პროექტის წერის**, დაფინანსების (გრანტის) მოძიებისა და მართვის ტრენინგი. (ახალგაზრდებმა ტრენინგის ფარგლებში უნდა დაწერონ პროექტები და მოიძიონ დაფინანსების შესაძლებლობები).
კლუბის ფარგლებში სულ ჩატარდება **12 ტრენინგი**... ჩატარდება კლუბის შემაჯამებელი - საანგარიშო ღონისძიება, სადაც კლუბის მონაწილეები წარმოადგენენ ტრენინგებზე მიღებული ცოდნის შესახებ პრეზენტაციებსა და პროექტის (მონაწილეობის თემაზე) შედეგებს. კლუბის ფუნქციონირებისთვის გათვლილია ტრენერების ჰონორარები, საკანცელარიო, კვებისა და სხვა თანმდევი ხარჯები.

**ტექნოლოგიებისა და მეწარმეობის კლუბი -** თანამედროვე გლობალურ სამყაროში, ტექნოლოგიების ერაში, მნიშვნელოვანია ახალგაზრდებს ჰქონდეთ ინოვაციური ტექნოლოგიების კომპეტენციები. ციფრული კომპეტენციის ფლობის საჭიროება თანამედროვე ადამიანისთვის და მისი განვითარების ხელშეწყობის აუცილებლობა გამოკვეთილია "საკვანძო კომპეტენციები მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისთვის" ევროპულ ჩარჩო დოკუმენტშიც. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ახალგაზრდული ცენტრის მოსარგებლეთა მიზნობრივი ჯგუფს ძირითადად Gen z - ის (1997-2012 წწ-ში დაბადებული თაობა) ასაკობრივი კატეგორია წარმოადგენს და მათ ვერ წარმოუდგენიათ სამყარო ტექნოლოგიების გარეშე. მომავლის პროფესიები კი, კიდევ უფრო მეტად იქნება დაკავშირებული ინფორმაციულ და ინოვაციურ ტექნოლოგიებთან.

ქ. ბათუმის 2022 წელს ჩატარებული "ნარატივების კვლევის" კვლევის მონაწილეთა დიდი უმრავლესობა მეწარმეობის, ინოვაციებისა და სტარტაპის მიმართულებით საქართველოში ახალგაზრდების ჩართვას მნიშვნელოვნად/ძალიან მნიშვნელოვნად (79%) მიიჩნევს. ამ მოსაზრებას იზიარებს 14-17 წლის ახალგაზრდების 67%, 18-24 წლის ახალგაზრდების 86% და 25-29 წლის ახალგაზრდების 77%. იმ რესპონდენტთა შეფასებით, ვინც მიიჩნევს, რომ მეწარმეობის, ინოვაციებისა და სტარტაპის მიმართულებით საქართველოში ახალგაზრდების ჩართვა მნიშვნელოვანი/ძალიან მნიშვნელოვანია, ამის მთავარ არგუმენტად იმას ასახელებენ, რომ აღნიშნული მუდმივ განვითარებას ნიშნავს (43%). ქვეყნის წარმატებაში წვლილის შეტანა (24%), აგრეთვე ის, რომ აღნიშნული მომავლის საქმეა (21%) ასევეა იმ მიზეზებს შორის, რის გამოც მნიშვნელოვანია ახალგაზრდები ჩაერთონ მეწარმეობის, ინოვაციებისა და სტარტაპის მიმართულებით. (ნარატივების კვლევა კვლევის ანგარიში, მომზადებულია კვლევისა და მენეჯმენტის საკონსულტაციო კომპანია „ეისითის" მიერ გაეროს განვითარების პროგრამისთვის (პროექტისთვის M4EG, 2022 წ. ) იგივე კვლევის თანახმად, 43% ისურვებდა დამატებითი ინფორმაციის მიღებას, როგორც მეწარმეობის, ასევე სტარტაპის შესახებ. კვლევის მონაწილეთა დიდ ნაწილს ამ მიმართულებით, სურს უფასო ტრენინგები და სასწავლო კურსები (52%) საგულისხმოა, რომ სკოლის ასაკის ახალგაზრდებში ყველაზე მეტი ზოგადად, მეწარმეობის/სტარტაპის მნიშვნელობის შესახებ ინფორმაციის მიღებას ისურვებდა (52%). იგივე კვლევის მიგნებებში ვკითხულობთ, რომ უკვე შეთავაზებული ჩამონათვალიდან თანატოლების ინფორმაციული ტექნოლოგიებით დაინტერესებაზე 41% მიუთითებს.

კვლევის რეკომენდაციებში ვკითხულობთ, რომ " მნიშვნელოვანია მეწარმეობის, ინოვაციებისა და სტარტაპის თაობაზე ცნობიერების ამაღლების კამპანიის დაგეგმვა. გარდა იმისა, რომ აუდიტორიას, მათთვის გასაგებ ენაზე უნდა მიეწოდოს ინფორმაცია მეწარმეობის, ინოვაციებისა თუ სტარტაპის რაობის თაობაზე, ასევე არსებითია მათ მნიშვნელობაზე და ახალგაზრდების ჩართულობის შესაძლებლობებზე ფოკუსირება" და "სკოლების შემთხვევაში, მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ინფორმირება არა უბრალოდ სხვადასხვა პროფესიაზე, არამედ აქცენტირება ე.წ. მომავლის პროფესიებზე და ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ინოვაციების მიმართულებით არსებული პროფესიების შესწავლის შესაძლებლობებზე".

ყოველივე ზემოთთქმულის გათვალისწინებით, ტექნოლოგიებისა და მეწარმეობის კლუბში ჩატარდება ტრენინგები: მეწარმეობისა და სტრარტაპის რაობის შესახებ, მათ შორის ახალგაზრდები გაეცნობიან მსოფლიო ტენდენციებს მეწარმეობის/სტრატაპის სფეროში, წარმატებულ მაგალითებს...
ტექნოლოგიების მიმართულებით კი, საინფორმაციო ტრენინგები შემდეგ თემებზე: ინფორმაციული ტექნოლოგიების ერა, ხელოვნური ინტელექტი, კიბერუსაფრთხოება, თანამედროვე ტექნოლოგიების უახლესი მიღწევები, მომავლის პროფესიები, ციფრული ტრანსფორმაცია და მოეწყობა სხვა აქტივობები. ტრენინგების გარდა, მოეწყობა სხვა ღონისძიებებიც.
კლუბის მიზანია ქ. ბათუმში მცხოვრები 14 დან 29 წლის ახალგაზრდებში ტექნოლოგიებისა და მეწარმეობის/სტარტაპის მიმართ ინტერესის გაღვივება. კლუბს აქტიური კომუნიკაცია ექნება ტექნო პარკ ბათუმთან, კლუბის წევრების ვიზიტებისა და პარკის ღონისძიებებში ჩართულობის ჩათვლით. კლუბს ეყოლება ფასილიტატორი, რომელიც კლუბის მუშაობას დაგეგმავს და გაუძღვება.

**მულტიკულტურალიზის სეზონური სკოლა** - გლობალიზაციის პროცესმა მჭიდროდ დააკავშირა ერთმანეთთან მსოფლიოს ცალკეული ნაწილები და მრავალფეროვნება უფრო თვალსაჩინო გახადა. რელიგიის თავისუფლება და ლიბერალიზმი დემოკრატიის ერთ-ერთი ფუნდამენტია, თუმცა დღესდღეობით მწვავე პრობლემას წარმოადგენს კულტურათა შორის კონფლიქტებიც. მათ შორის ადგილი აქვს რელიგიურ და რასობრივ შეუწყნარებლობას, დისკრიმინაციასა თუ ქსენოფობიას. გლობალიზაციის პირობებში მცხოვრები თანამედროვე და მომავალი თაობებისათვის მნიშვნელოვანია ახალგაზრდებს გააჩნდეთ სხვადასხვა კულტურებთან თანაცხოვრებისთვის აუცილებელი კულტურული გამოხატვისა და კულტურათაშორის ურთიერთობებისა კომპეტენციები (ცოდნა, უნარი, დამოკიდებულება), იმისთვის რომ იცხოვრონ მშვიდობიან გარემოში და გამოიჩინონ მიმღებლობა დაიყვნენ ტოლერანტულები სხვა რელიგიის, ენის, ეთნოსის, ეროვნებისა და შესაბამისად ამ ნიშნით უმცირესობების მიმართ. რაც ხელს შუწყობს სხვადასხვა კულტურულ ჯგუფს შორის მშვიდობიან თანაარსებობას და პოზიტიურ ინტერაქციას. ბათუმში მცხოვრები ახალგაზრდების მულტიკულტურული ღირებულებების ჩამოყალიბების მიზნით, 14 წლიდან ახალგაზრდებისთვის განხორციელდება პროექტი „მულტიკულტურალიზმის სეზონური სკოლა" **(4 დღე)**, რომლის ფარგლებშიც ახალგაზრდებს ჩაუტარდებათ საინფორმაციო ტრენინგები მულტიკულტურალიზმის მნიშვნელობის, მიმღებლობის, მრავალფეროვან კულტურაში თანაცხოვრებისა და ტოლერანტობის შესახებ. ღონისძიების ფარგლებში გათვლილია, ტრენერების მოწვევა, ჰონორარები, კვების და სხვა ხარჯები.

**მედია წიგნიერების კურსი** - თანამედროვე მოზარდები და ახალგაზრდები ინფორმაციას დიდი მოცულობით და ინტენსიურად იღებენ, რაც აყალიბებს მათ რწმენას, მოსაზრებებს, ცოდნას და განსაზღვრავს მათ ქცევებს. ამდენად, ძალიან მნიშვნელოვანია, მოზარდებსა და ახალგაზრდებს შეეძლოთ მიღებული ინფორმაციის შეფასება, კრიტიკული გააზრება, ჭარბი ინფორმაციის გაფილტვრა და ორიენტირება, პირველ წყაროს მოძიებისა და სანდოობის შემოწმების ტექნიკების ცოდნა და უნარი. კურსის ფარგლებში 14 დან 25 წლის ახალგაზრდებისთის ჩატარდება ინტენსიური **3 დღიანი** ტრენინგი მედიწიგნიერებაში, რომლის გავლის შემდეგ ახალგაზრდები კრიტიკულად შეხედავენ ინფორმაციას, ექნებათ ცოდნა ინფრომაციის გადამოწმების ინსტრუმენტებზე, შეიძენენ დეზინფორმაციის, მალინფორმაციის, ყალბი ინფორმაციის, ფოტომანიპულაციის... ამოცნობის უნარებს, გათავისებული და გააზრებული ექნებათ ინფორმაციის პირველ წყაროს დადგენისა და მოძებნის უნარები. ტრენინგებს ჩაატარებენ კვალფიციური ტრენერები. ახალგაზრდებს განუვითარდებათ კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების უნარები. ღონისძიების ფინანსური ხარჯი შეადგენს ტრენერთა ჰონორარებს, საკანცელარიო ნივთების ხარჯებს.

**პროფორიენტაციის ხელშეწყობა** - ადამიანის ასაკობრივი განვითარებისა და ინტერესების მიხედვით, 18-დან 24 წლის ახალგაზრდების მთავარი საზრუნავი განათლების მიღებაა, რომელიც უზრუნველყოფს მათ ინტეგრაციას შრომის ბაზარზე. ამ ასაკში ახალგაზრდების ინტერესია ასევე, დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყება და საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბება. ახალგაზრდები პროფესიის არჩევისას ყველაზე დიდ მხარდაჭერას საჭიროებენ, თუმცა ნაკლებად მიუწვდებათ ხელი პროფორიენტაციის მხარდამჭერ გარემოზე. არასწორად შერჩეული პროფესია დაკავშირებულია დაკარგულ წლებთან, უმუშევრობასთან და ახალგაზრდის არასასურველ სოციალურ მდგომარეობასთან. პროფესიის არჩევასთან დაკავშირებული სრთულეების წინაშე განსაკუთრებით 16-18 წლის ახალგაზრდები, უფროსკლასელები იმყოფებიან, მათ ამ დროს სჭირდებათ მკაფიო და სწორი გადაწყვეტილების მიღება წარმატებული მომავლისთვის, რომელსაც ყველაზე მეტად სწორი პროფესიული არჩევანი განაპირობებს. "ახალგაზრდები არ არიან ინფორმირებულნი პროფესიებთან დაკავშირებით და შესაბამის არჩევანს ზედაპირულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ან სულაც, მხოლოდ სხვების რჩევით ან ზეწოლით აკეთებენ. აღნიშნული განსაკუთრებით აქტუალურია სკოლის ასაკის ახალგაზრდებისთვის, რომლებმაც პროფესიასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებები უახლოეს მომავალში უნდა მიიღონ („...მეორე კურსზე ვიყავი გაცვლით პროგრამაზე და პირველად წავედი ესპანეთში... მაშინ ჩემს ლექციაზე იყო უამრავი სხვადასხვა პროფესიის ადამიანი; თითოეულს გვქონდა სხვადასხვა ბექგრაუნდი და ჩემთვის იყო შოკისმომგვრელი თუ რამდენი პროფესია შეიძლებოდა ყოფილიყო, რომელსაც შეიძლებოდა დავუფლებოდი“, (ნარატივების კვლევა კვლევის ანგარიში, მომზადებულია კვლევისა და მენეჯმენტის საკონსულტაციო კომპანია „ეისითის“ მიერ გაეროს განვითარების პროგრამისთვის (პროექტისთვის M4EG, 2022 წ. ) შესაბამისად, კარიერის განვითარების სამსახურების მსგავსი სერვისების არსებობა და ახალგაზრდების მაქსიმალური ინფორმირება სხვადასხვა პროფესიაზე, მის დასაუფლებლად საჭირო ცოდნებსა და უნარებზე თუ შრომის ბაზრის საჭიროებებზე მნიშვნელოვნად ჩაითვალა".ახალგაზრდების პროფორიენტაციის კუთხით დახმარების გაწევის მიზნით, მერიის ახალგაზრდულ ცენტრში ჩატარდება პროფორიენტაციის ტრენინგები.
პროფორიენტაციის ტრენინგების თემები: 1. შესაძლებლობების განსაზღვრა, ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასება, უნარებისა და ინტერესების შეთავსება 2. მომავლის პროფესიების ტენდენციები 3. თანამედროვე დასაქმების ბაზრის მოთხოვნები;
მონაწილეთა ასაკი: 16 - 18 წლის ახალგაზრდები.

**დასაქმებისთვის საჭირო უნარებისა და კარიერული განვითარების ხელშეწყობა -** 2021 წელს ქ. ბათუმში. სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოს მხარადჭერითა და ფრიდრიხ ებერტის ფონდის დაკვეთით, კვლევისა და საკონსულტაციო კომპანია „ეისითის” მიერ ჩატარდა „ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდობის საჭიროებებისა და გამოწვევების კვლევა”, რომლის მიგნებებში ახალგაზრდებისთვის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული გამოწვევა დასაქმებაა, რაშიც ხელშეწყობა სახელდება ყველაზე მნიშვნელოვნად ბათუმის მუნიციპალიტეტში (50%);

აღნიშნული ქვეღონისძიების ფარგლებში, ახალგაზრდებს შესაძლებლობა ექნებათ განივითარონ **დასაქმებისთვის საჭირო უნარები,** გარდა ამისა, კარიერული განვითარებით დაინტერესებულ ახალგაზრდებს საშუალება ექნებათ განივითარონ სამუშაო ადგილზე საჭირო რბილი უნარები, კარიერული განვითარებისთვის საჭირო კომპეტენციები.
**დასაქმებისთვის საჭირო უნარების განმავითარებელი ტრენინგები - ასაკი : 18 წლიდან**
ტრენინგები ჩატარდება შემდეგ თემებზე:
1. „ფრილანსერობა";
2. "CV-ის შედგენა;
3. სამოტივაციო წერილის შედგენა;
4. დამსაქმებელთან გასაუბრებაზე წარდგენის ტექნიკები;
5. „დასაქმებულის შრომითი უფლებები";
6. სად და როგორ უნდა ვეძიოთ ვაკანსიები
7. შრომის ბაზრის მოთხოვნები.

**კარიერული განვითარების ტრენინგები: ასაკი: 18 წლიდან**
ტრენინგები ჩატარდება შემდეგ თემებზე:
1. ლიდერობა;
2. გუნდურობა;
3. კომუნიკაცია;
4. სამუშაო ეთიკა;
5. ინტერპერსონალური ურთიერთობები: ვერბალური და არავერბალური კომუნიკაცია, მოსმენის კულტურა და უნარები, თანამშრომლობის უნარები, ასერტულობა;
6. პრობლემის გადაჭრის კომპეტენციები;
7. გადაწყვეტილების მიღების კომპეტენციები;
8. დროის მენეჯმენტი;
9. კრიზისულ სიტუაციებში ქცევის მართვა სამუშაო ადგილზე
10. თავდაჯერებულობა.

**ჯანსაღი ცხოვრების წესის კომპეტენციის განვითარება -** ღონისძიების ფარგლებში ჩატარდება ტრენინგები რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და ჯანსაღი ცხოვრების წესის (კვება, ძილი, ვარჯიში) შესახებ. მოეწყობა ღია სივრცის აერობიკის 20 აქტივობა - რომლის ფარგლებშიც, პირველად ბათუმის ცენტრალურ პარკში, გამოიყოფა ადგილი, სადაც ახალგაზრდებისთვის უზრუნველყოფილი იქნება აერობიკის უფასო სერვისი. აერობიკის აქტივობებს წარუძღვებიან აერობიკის ინსტრუქტორები. დამატებითი განწყობის შექმნის მიზნით, აერობიკის აქტივობები მოეწყობა მუსიკის ფონზე.

**ახალგაზრდული ღონისძიებების კოორდინატორები (ახალგაზრდული მუშაკები) -** აყვანილი იქნება ორი პირი, რომლებიც წინასწარ გაივლიან 5 დღიან მოსამზადებელ, საორიენტაციო ტრენინგს ახალგაზრდული საქმიანობისა და ახალგაზრდებთან კომუნიკაციის დამყარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ღონისძიებების კოორდინატორების ფუნქციები იქნება შემდეგი: ახალგაზრდული ცენტრის, როგორც ახალგაზრდების შეკრებისა და განვითარებაზე ორიენტირებული სივრცისა და ცენტრის ბაზაზე არსებული არაფორმალური განათლების სერვისებით ახალგაზრდების დაინტერესება და ღონისძიებებში ჩართვა; ახალგაზრდებთან კომუნიკაცია და მათთან ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობის დამყარება; ვიზიტების დაგეგმვა ახალგაზრდების თავშეყრის ადგილებში, ღონისძიებების შესახებ ინფორმირებულობისა და ღონისძიებებში მონაწილეობის გაზრდის მიზნით; სკოლებთან ურთიერთობა, მოსწავლეების დაინტერესების მიზნით; ცენტრში მიმდინარე ღონისძიებების საორგანიზაციო საკითხებში ჩართულობა; ქალაქის ცენტრიდან დაშორებულ ადმინისტრაციულ ერთეულებში ადგილზე გასვლა და ახალგაზრდების მოზიდვა და ჩართვა ახალგაზრული ცენტრის ღონისძიებებში. ახალგაზრდული ღონისძიებების კოორდინატორების საქმიანობა იქნება ანაზღაურებადი.

3. **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტეგრაციის ხელშეწყობა და საინფორმაციო აქტივობები -**
1. საზოგადოება ჯერ კიდევ სამედიცინო მოდელით უყურებს შეზღუდულ შესაძლებლობებს, ასეთი მიდგომები და სტერეოტიპები კი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდებს ართმევს დამოუკიდებლობის განცდასა და მომავალში დასაქმების შესაძლებლობას. მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოების ინფორმირების პროცესი გაგრძელდეს და მათი თვითშეგნება ამაღლდეს ისე, რომ სამედიცინო მოდელთან ერთად ყურადღება გამახვილდეს სოციალურ მოდელზე. ამ მიმართულებით ცნობადობის ამაღლების მიზნით, ჩატარდება საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრები, შემდეგ თარიღებთან დაკავშირებით:
21 მარტი - დაუნის სინდრომის მსოფლიო დღე;
2 აპრილი - აუტიზმის ცნობადობის ამაღლების დღე;
3 დეკემბერი - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთაშორისო დღე.

4. **შემეცნებითი ტურები -** აქტიური ახალგაზრდებისთვის მოეწყობა ექსკურსიები.

5. **მონაწილეობის ხელშემწყობი ღონისძიებები -** მონაწილეობა მიიღწევა შემდეგი ინსტრუმენტებით: მონაწილეობის შესახებ სასწავლო კურსებით, ახალგაზრდული პროექტების მხარდაჭერით, ახალგაზრდული ფორუმებით, ახალგაზრდული საბჭოებით, მოხალისეობით, ახალგაზრდების ინფორმირებით - არსებული შესაძლებლობებისა და მათთვის მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.

**აღნიშნულის გათვალისწინებით, ჩატარდება შემდეგი ქვეღონისძიებები:**
**5. 1. ახალგაზრდების ინიციატივების მხარდაჭერა** - ახალგაზრდობის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის ერთ-ერთ ინსტრუმენტად განხილულია „ახალგაზრდების ინიციატივებისა და პროექტების მხარდაჭერა", ახალგაზრდებს, მათი მისწრაფებების შესაბამისად, შესაძლოა ჰქონდეთ მრავალი იდეა, რომელთა პროექტებად და ადგილობრივ საქმიანობად გარდაქმნა ყველასათვის სასარგებლო იქნებოდა. სათანადო მხარდაჭერის შემთხვევაში, ამგვარი პროექტების წარმატება ან წარუმატებლობა დაეხმარება ახალგაზრდებს პასუხისმგებლობის გრძნობისა და მათი დამოუკიდებლობის განვითარებაში და შესაბამისად, საზოგადოებრივ მონაწილეობად ჩამოყალიბებაში. ამრიგად, ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანოებმა ხელი უნდა შეუწყონ ხსენებული მცირე და ფართომასშტაბიანი პროექტების განახორციელებას და ხელმისაწვდომი გახადონ მათთვის, როგორც პროფესიული მხარდაჭერა, ასევე ფინანსური და მატერიალურ ტექნიკური.
შესაბამისად, „ახალგაზრდების ინიციატივების მხარდაჭერის" ღონისძიების ფარგლებში, დაფინანსდება ახალგაზრდების საინიციატივო პროექტები, რომელიც კონკურსის წესით შეირჩევა და ღონისძიებაში პროექტის წარმოდგენის უფლება ექნებათ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე
რეგისტრირებულ 14-დან 29 წლის ახალგაზრდებს, კონკურსში მონაწილეობის პრიობები განისაზღვრება მერის ბრზანებით დამტკიცებული დებულებით.

| | |
|---|---|
| | **5.2. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო - ახალგაზრდული საბჭო** - „ადგილობრივ და რეგიონულ ცხოვრებაში ახალგაზრდობის მონაწილეობის შესახებ განახლებული ევროპული ქარტიის" თანახმად, „აუცილებელია ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანოებმა ხელი შეუწყონ ადგილობრივ და რეგიონულ საკითხებში ახალგაზრდების ინსტიტუციონალურ მონაწილეობას, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები უნდა ქმნიდნენ ახალგაზრდებსა და ადგილობრივ ორგანოებს შორის დიალოგისა და თანამშრომლობის პირობებს და საშუალებას აძლევდნენ ახალგაზრდებს მიიღონ მონაწილეობა იმ საკითხებთან დაკავშირებით რაც მათ ეხებათ ან აინტერესებთ". აღნიშნული მიზნით, 2022 წელს, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შეიქმნა ახალგაზრდული საბჭო ღონისძიების ფარგლებში, ხელშეწყობილი იქნება საბჭოს ფუნქციონირება. საჭიროების შემთხვევაში კი, უზრუნველყოფილი იქნება საბჭოს წევრების ტრანსპორტირება ქვეყნის ტერიტორიაზე. |
| | **5.3. მოხალისეთა კლუბი** - მოხალისეობა ახალგაზრდების მონაწილეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმია. ახალაგაზრდებში მონაწილეობის კომპეტენციის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, იფუნქციონირებს მოხალისეთა კლუბი. |
| | **5.4. ახალგაზრდული ფორუმი** - ფორუმი ეს არის სტრუქტურირებული ღონისძიება, რომელიც ახალგაზრდებს აძლევს საშუალებას გამოხატონ და გაუზიარონ თავიანთი იდეები, შეხედულებები და საჭიროებები სხვა ახალგაზრდებს, გადაწყვეტილების მიმღებ პირებსა და თემის წარმომადგენლებს ახალგაზრდების წინაშე არსებულ გამოწვევებსა და მათი გადაჭრის გზებზე. |
| | **6. ბათუმის ინკლუზიური თეატრალური დასის ფუნქციონირების ხელშეწყობა** - აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში, ხელშეწყობილი იქნება თეატრალური ხელოვნებით დაინტერესებული, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისა და ტიპიური განვითარების მქონე ახალგაზრდების კულტურულ ცხოვრებაში ჩართვა და ინტეგრაცია, მათ შორის დაიდგმება ორი სპექტაკლი. |
| | **7. წლის შემაჯამებელი, საანგარიშო ღონისძიება** -<br>წლის მანძილზე ჩატარებული აქტივობების შეჯამების მიზნით, გათვალისწინებულია წლის შემაჯამებელი, საანგარიშო შეხვედრის მოეწყობა. ვიდეოსიუჟეტისა და ფლაერების დამზადება და სხვა თანმდევი საქონლისა და მომსახურების შესყიდვა. |
| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი | ფუნქციონირებს ახალგაზრდების ინტერესებსა და საჭიროებებზე მორგებული ახალგაზრდული სივრცე;<br>შექმნილია არაფორმალური განათლების მიღების შესაძლებლობები;<br>ხელშეწყობილია ახალგაზრდების პიროვნული, სოციალური და მოქალაქეობრივი განვითარება;<br>ხელშეწყობილია ახალგაზრდების მონაწილეობა; |

| № | მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი | ინდიკატორის მაჩვენებლები | | ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა) |
|---|---|---|---|---|
| | | საბაზისო 2022 წელი | მიზნობრივი 2023 წელი | |
| 1 | ქვეპროგრამის ღონისძიებებისა და ქველონისძიებების ფარგლებში ჩატარებული აქტივობების საერთო რაოდენობა | 80 | 120 | 10% - ხელშეკრულებით აღებული ვალდებულების არაჯეროვნად შესრულება; |
| 2 | ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებულ ღონისძიებებში ახალგაზრდების დასწრების საერთო მაჩვენებელი | 2500 | 3000 | 10% - ქვეპროგრამის ცნობადობის ნაკლებობა და ახალგაზრდების დაბალი ინტერესი; |
| 3 | მონაწილე ახალგაზრდების კმაყოფილების მაჩვენებელი (მონაწილე ახალგაზრდების უმრავლესობა თვლის, რომ განხორციელებულ ღონისძიებებში მონაწილეობამ ხელი შეუწყო მათ განვითარებას) | საორიენტაციო მაჩვენებელი - 65%-ზე მეტი | საორიენტაციო მაჩვენებელი - 65%-ზე მეტი | 10% - ღონისძიებების არასათანადო კავშირი ახალგაზრდების ინტერესებსა და საჭიროებებთან; |
| 4 | ჩატარებული ღონისძიებების ხარისხის შეფასება (მონაწილე ახალგაზრდების უმრავლესობა დადებითად აფასებს ჩატარებული ღონისძიებების ხარისხს) | საორიენტაციო მაჩვენებელი - 65%-ზე მეტი | საორიენტაციო მაჩვენებელი - 65%-ზე მეტი | 10% - ღონისძიებების დაბალი ხარისხი; |

| № | ღონისძიების დასახელება | პროდუქტები | | | სულ (ლარი) | მათ შორის: | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | განზომილება | რაოდენობა | ერთეულის საშუალო ფასი | | საბიუჯეტო სახსრები | საკუთარი სახსრები |
| 1 | ახალგაზრდული ცენტრის მოვლა-პატრონობა, ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა | შენობა-ნაგებობა | 1 | 22 500 | 22 500 | 22 500 | |
| 2 | არაფორმალური განათლების ხელშეწყობა | ღონისძიება | 1 | 130 500 | 130 500 | 130 500 | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტეგრაციის ხელშეწყობა და საინფორმაციო აქტივობები | ღონისძიება | 3 | 667 | 2 000 | 2 000 | |
| 4 | შემეცნებითი ტურები | ტური | 4 | 3 750 | 15 000 | 15 000 | |
| 5 | მონაწილეობის ხელშემწყობი ღონისძიებები — ახალგაზრდების ინიციატივების მხარდაჭერა | პროექტი | 10 | 4 000 | 40 000 | 40 000 | |
| | ახალგაზრდული საბჭო | საბჭო | 1 | 5 000 | 5 000 | 5 000 | |
| | მოხალისეთა კლუბი | კლუბი | 1 | 3 000 | 3 000 | 3 000 | |
| | ახალგაზრდული ფორუმი | ღონისძიება | 1 | 10 000 | 10 000 | 10 000 | |
| 6 | ბათუმის ინკლუზიური თეატრალური დასის ფუნაციონირების ხელშეწყობა | თეატრალური დასი | 1 | 70 000 | 70 000 | 70 000 | |
| 7 | წლის შემაჯამებელი, საანგარიშო ღონისძიება | ღონისძიება | 1 | 7 000 | 7 000 | 7 000 | |
| | **სულ ქვეპროგრამა** | | | | **305 000** | **305 000** | **0** |

| № | დამატებითი ინფორმაცია |
|---|---|
| 1 | ღონისძიების „ახალგაზრდების ინიციატივების მხარდაჭერა" დასაფინანსებელ პირთა რაოდენობა წარმოადგენს საორიენტაციო მაჩვენებელს. თუ 10 პირის დაფინანსების შემდეგ, ღონისძიების ბიუჯეტი არ ამოიწურება, შესაძლებელია ღონისძიებით დადგენილი პირობების დაცვით 10 პირზე მეტის დაფინანსება. |

## ქვეპროგრამის ფორმა

| ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: | ქვეპროგრამის დასახელება | პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა |
|---|---|---|
| 05 06 02 | ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა | ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა |

| ქვეპროგრამის განმახორციელებელი: | ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის , სპორტისა და ახალგაზრდობის სამაახურ | ქვეპროგრამის ბიუჯეტი | 2023 წლის დაფინანსება (ლარი) | 2024 წლის დაფინანსება (ლარი) | 2025 წლის დაფინანსება (ლარი) | 2026 წლის დაფინანსება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 23 000 | 35 000 | 40 000 | 45 000 |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის მიზანი | ახალგაზრდების ინტელექტუალური განვითარების ხელშეწყობა |
| ქვეპროგრამის აღწერა | მოზარდობისა და ახალგაზრდული ასაკი ეს არის გონებრივი შესაძლებლობების განვითარების საუკეთესო პერიოდი. ამ დროს მოზარდები ინტერესს ავლენენ იმ ცოდნის მიმართ, რომელიც ფორმალური განათლების ფარგლებს სცილდება, ახასიათებთ შემოქმედებითობა, ახალი ცოდნის მიღებისა და თვითგანათლების მოთხოვნილება, აბსტრაქტული აზროვნება, იდეალიზებული და წარმოსახვის უნარები, უფროსი სასკოლო ასაკის სასწავლო საქმიანობა გვევლინება შემეცნებითი ფსიქიკური პროცესების განვითარების მამოძრავებელ ძალად. არსებითი ძვრები ხდება მათი აზროვნების განვითარების მიმართულებითაც, აზროვნება ღებულობს აქტიურ, დამოუკიდებელ და შემოქმედებით ხასიათს. სააზროვნო ოპერაციები მიმდინარეობს განზოგადების და აბსტრაქციის უფრო მაღალ დონეზე, მიზეზობრივი კავშირების ძიებით, ვითარდება ლოგიკური დასაბუთების უნარი და დასკვნების გამოტანის შესაძლებლობა. ინტელექტუალური<br>16 – 17 წლიდან განსაკუთრებული სწრაფი ტემპით ვითარდება ლოგიკური აზროვნების უნარი, რასაც ლოგიკური აზროვნების ჩამოყალიბების თვალსაზრისით, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.<br>ზემოთ მიმოხილული ასაკობრივი განვითარების მახასიათებლები, ცხადყოფს რომ განსაკუთრებით მოზარდობის პერიოდში უნდა არსებობდეს ინტელექტუალური და შემოქმედებითი განვითარების ხელშემწყობი პროგრამები და მასტიმულირებელი სივრცეები, რაც მათ დაეხმარებათ აზროვნების განვითარებაში, ახალი მატერიალური, ინტელექტუალური და სულიერი ღირებულებების შესაქმნელად.<br>**1. ინტელექტუალური - თამაში „რა? სად? როდის?" -**<br>ღონისძიება ითვალისწინებს ქალაქის მასშტაბით, მოსწავლეებს, სტუდენტებსა და ახალგაზრდებს შორის რა? სად? როდის? ინტელექტუალური ტურნირების ჩატარებას. თამაშები განხორციელდება სამ ეტაპად:<br>ა) მოსწავლეთა ლიგის თამაშები;<br>ბ) სტუდენტთა ლიგის თამაშები;<br>**2. ინტელექტუალური მედიაპროექტი ,,ეტალონი" (I ეტაპი) -**<br>გასვლითი არასატელევიზიო ფორმატის ინტელექტუალურ კონკურს ,,ეტალონში" მონაწილეობის მიღება შეუძლია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ნებისმიერი საჯარო სკოლის VIII, IX, X, XI და XII კლასის მოსწავლეს. მონაწილეს შეუძლია თითოეულ დასმულ კითხვაზე, ოთხი სავარაუდო პასუხიდან, 15 წამის განმავლობაში გასცეს სწორი პასუხი. პროექტის განხორციელების შედეგად გამოვლინდება ,,ქალაქ ბათუმის ეტალონი მოსწავლე". ღონისძიების ფარგლებში დაფინანსდება პროექტის ორგანიზების ხარჯები. |
| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი | ხელშეწყობილია ახალგაზრდების ინტელექტუალური განვითარება |

| № | მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი | ინდიკატორის მაჩვენებლები | | ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა) |
|---|---|---|---|---|
| | | საბაზისო 2022 წელი | მიზნობრივი 2023 წელი | |
| 1 | მუნიციპალიტეტის მიერ მხარდაჭრილი და ორგანიზებული ინტელექტუალურ - შემოქმედებითი პროექტების რაოდენობა | 2 | 2 | 10% - ხელშეკრულებით აღებული ვალდებულების არაჯეროვნად შესრულება; |
| 2 | ინტელექტუალურ - შემეცნებით პროექტებში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობა | 700 | 600 | 5% - ქვეპროგრამის ცნობადობის ნაკლებობა და ახალგაზრდების დაბალი ინტერესი, |
| 3 | პროექტებში მონაწილე ახალგაზრდების კმაყოფილების მაჩვენებელი (მონაწილე ახალგაზრდების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ პროექტები მორგებული იყო მათ საჭიროებებსა და ინტერესებს და ხელი შეუწყო მათ განვითარებას) | საორიენტაციო მაჩვენებელი - 65%-ზე მეტი | საორიენტაციო მაჩვენებელი - 65%-ზე მეტი | 10% - ღონისძიებების არასათანადო კავშირი ახალგაზრდების ინტერესებსა და საჭიროებებთან. |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 4 | ჩატარებული ღონისძიებების ხარისხის შეფასება (მონაწილე ახალგაზრდების უმრავლესობა დადებითად აფასებს ჩატარებული ღონისძიებების ხარისხსს) | საორიენტაციო მაჩვენებელი - 65%-ზე მეტი | საორიენტაციო მაჩვენებელი - 65%-ზე მეტი | 10% - ღონისძიებების დაბალი ხარისხი. |

| № | ღონისძიების დასახელება | პროდუქტები | | | სულ (ლარი) | მათ შორის: | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | განზომილება | რაოდენობა | ერთეულის საშუალო ფასი | | საბიუჯეტო სახსრები | საკუთარი სახსრები |
| 1 | ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის? “ | ღონისძიება | 1 | 20 000 | 20 000 | 20 000 | 0 |
| 2 | ინტელექტუალური მედიაპროექტი „ეტალონი“ | პროექტი | 1 | 3 000 | 3 000 | 3 000 | 0 |
| **სულ ქვეპროგრამა** | | | | | **23 000** | **23 000** | **0** |

| № | დამატებითი ინფორმაცია |
|---|---|
| 1 | |
| 2 | |